**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის**

**სხდომის ოქმი №14**

თბილისი, 27 ნოემბერი, 2020

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 27 ნოემბრის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე გოჩა ლორთქიფანიძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი ბექა ძამაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი ბექა ზეგარდელი;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ქოიავა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლონდა ბიჭიკაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი ოსაძე;

**კომისიის სამდივნოს წევრები**:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

**მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:**

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების, ანალიტიკისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი თამარ ზუბაშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა გოჩა ლორთქიფანიძემ, სხდომა გახსნა 14:00 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

ბატონმა გოჩამ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ განხორციელებული რეაგირებების განხილვა.

სხდომის დღის წესრიგის გაცნობის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგით გამოვლენილი ინფორმაციის განხილვაზე. პირველ საკითხთან დაკავშირებით (მოძრაობა „იმოქმედეს“ განცხადება მისი წევრის მიმართ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლის მხრიდან ფიზიკურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით) ბატონმა გოჩამ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს. ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, განცხადებაში მოყვანილი გარემოებები არ დასტურდება. კერძოდ, 2020 წლის ნოემბერში მოძრაობა „იმოქმედეს“ წევრების მიერ მასობრივად, უმეტესწილად, ღამის საათებში, დაიწყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ შენობათა ფასადებზე, გზის სავალ ნაწილსა და სხვა ობიექტებზე სხვადასხვა სახის წარწერების გაკეთება და სტიკერების  გაკვრა, მათ შორის, კულტულრული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში არსებულ ძეგლებზე, რითაც ამახინჯებდნენ ქალაქის იერსახეს.

2020 წლის 21 ნოემბერს  შპს  „სანდასუფთავების“ თანამშრომლები ხსნიდნენ ქალაქ ბათუმში გორგილაძისა და ლუკა ასათიანის ქუჩების კვეთაში არსებულ ავტობუსის მოსაცდელზე გაკრულ მოძრაობა „იმოქმედეს“ სტიკერებს, რასაც ესწრებოდნენ ინსპექციის თანამშრომლებიც. სამუშაოების მიმდინარეობის დროს მითითებულ ადგილას მისულმა „იმოქმედეს“ წევრებმა პროტესტი გამოთქვეს და ხელახლა დაიწყეს სტიკერების გაკვრა.

ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ „იმოქმედეს“ წევრებს განემარტათ, რომ სტიკერების გაკვრა წარმოადგენდა სამართალდარღვევას, რაზედაც ეთხოვათ, შეეწყვიტათ ქმედება. არაერთი მოწოდების მიუხედავად,  მათ მაინც გააკრეს მოსაცდელზე სტიკერები უნებართვოდ, რაზედაც ინსპექციის თანამშრომლების მიერ მათი ორი წევრის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით. ოქმი განსახილველად გაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები აღნიშნული შემთხვევის დროს მოქმედებდნენ კანონმდებლობის სრული დაცვით და მათი მხრიდან რაიმე ძალადობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მოძრაობა „იმოქმედეს“ წევრები შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე და შემდგომაც ქმნიდნენ კონფლიქტურ სიტუაციას, რის შემდგომაც ჩაერთო პოლიცია. პოლიციის თანამშრომლების მიერ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოკითხულ იქნენ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები და მოძრაობა „იმოქმედეს“  წევრები.

ზემოაღნიშნულ საკითხზე, ასევე, ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა გიორგი ოსაძემ. ბატონი გიორგის განცხადებით, 2020 წლის 23 ნოემბერს შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის III განყოფილებაში შევიდა №2724886 შეტყობინება, რომლის მიხედვითაც უცნობი მოქალაქე იტყობინებოდა ქ. ბათუმში, ზ. გორგილაძის ქუჩაზე მდებარე ვარდების სკვერის მიმდებარედ ავტობუსის მოსაცდელთან კონფლიქტის შესახებ.

შეტყობინების საფუძველზე შედგა კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან გასაუბრება. გამოკითხულ იქნა კონფლიქტში მონაწილე ოთხი პირი, რომელთა განმარტებით, კონფლიქტის მიზეზი გახდა გაერთიანება „იმოქმედეს" წარმომადგენლების მიერ ქ. ბათუმში, ვარდების სკვერთან არსებულ მოსაცდელთან პლაკატების გაკვრა, რისი საშუალებაც მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებმა არ მისცეს. კონფლიქტის დროს მხარეებს შორის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, მუქარას ან სხვა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

როგორც „იმოქმედეს" წევრებმა განმარტეს, პლაკატების გაკვრის დროს მათთან მივიდნენ მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები, რომლებმაც ხელის მოკიდებით გაიყვანეს და არ მისცეს პლაკატების გაკვრის საშუალება; ხელის მოკიდების დროს ფიზიკური ტკივილი არ განუცდიათ.

მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლების განმარტებით, მათი მხრიდან რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია, მათ შორის, არც ხელი მოუკიდებიათ „იმოქმედეს" წევრებისათვის სტიკერების გაკვრაში ხელის შეშლის მიზნით. მათივე განმარტებით, „იმოქმედეს" წევრები დააჯარიმეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებას.

კომისიის თავმჯდომარემ მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებულ შემდეგ ინფორმაციასთან დაკავშირებით („პირველ არხზე" გავრცელებული „სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების ინფორმაცია – ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის ა(ა)იპ-ებში დასაქმებულებს ხელმძღვანელები არჩევნებზე გამოცხადებას სთხოვდნენ; შუახევის უჩანბის ბაგა-ბაღის მენეჯერის დავალება თანამშრომლებისადმი საარჩევნო უბანზე მისულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში) ბატონმა გოჩამ სიტყვა კვლავ გადასცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, მითითებული განცხადება ზოგადი ხასიათის იყო და კონკრეტული ფაქტების არარსებობის გამო მისი უწყების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია.

მიუხედავად ამისა, რადგან ზოგადად იყო საუბარი ა(ა)იპ-ებსა და მათ ხელმძღვანელებზე, სამინისტროსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის შედეგად გამოიკითხა ქუთაისის ა(ა)იპ-ების მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი ყველა ხელმძღვანელი. მათ მერის მოვალეობის შემსრულებელს მიმართეს ახსნა-განმარტებით. ბატონი ნიკოლოზის თქმით, ცამეტივე ახსნა-განმარტებას გამოუგზავნის კომისიის სამდივნოს.

თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო შემდეგი საკითხი („ტვ მთავარის" ინფორმაცია დედოფლისწყაროში საგზაო სამსახურში დასაქმებული 5 მუშის თანამდებობიდან ოპოზიციის მხარდაჭერისა და აქციებში აქტიური მონაწილეობის გამო გათავისუფლების შესახებ). ერთ-ერთი გათავისუფლებული ნუგზარ ირემაძე „მთავართან" საუბარში ამბობს, რომ სამსახურიდან სრულიად უარგუმენტოდ გამოუშვეს ერთი კვირის წინ მისი პოლიტიკური გემოვნების გამო (ნუგზარ ირემაძე: „8 წელი ვიყავი „ქართული ოცნების" მომხრე, ვერაფერი შედეგი ვერ მივიღე მაგათი და ახლა არჩევნებზე გადავედი „ნაციონალების" მხარეს, გაიგეს და 5-კაციანი ბრიგადა გაგვათავისუფლეს, დაგვტოვეს უმუშევრები. აქციებზე მხარდამჭერი ვიყავი „ნაციონალების" და მაგის გამო").

ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას არც წარსულში და არც ამ ეტაპზე არ გააჩნია საგზაო სამსახური არც მერიის სტრუქტურაში და არც საქვეუწყებო ორგანიზაციის (შპს ან ა(ა)იპ) სახით. ამასთან, არც ნუგზარ ირემაძე ყოფილა მერიის ან მერიის საქვეუწყებო რომელიმე ორგანიზაციის თანამშრომელი. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას გაეთავისუფლებინა ბატონი ნუგზარი.

კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული ინფორმაციები აისახება კომისიის საქმიანობის ანგარიშში, რომელიც იქნება საჯარო და ყველას მიეცემა მისი გაცნობის საშუალება.

მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაციების განხილვის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიუბრუნდა წინა სხდომებზე განხილულ საკითხებს უწყებების მხრიდან საბოლოო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით.

31 ოქტომბრის არჩევნების დღეს თბილისისა და ზუგდიდის მასშტაბით „ნიუპოსტის" წარმომადგენლების მიერ ამომრჩეველთა სახეების სკანირების/გადაღების და ფოტოვიდეოგადაღების წესის დარღვევასთან დაკავშირებით (13 ნოემბრის სხდომაზე ქალბატონი ელენე კალანდაძის („დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი") და ქალბატონი მაკა ბენაშვილის („პლატფორმა – სამოქალაქო ინიციატივა") მიერ გახმიანებული ინფორმაცია) ქალბატონმა თამარ ზუბაშვილმა (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური)

განაცხადა, რომ, როგორც წინა სხდომაზე აღნიშნა, საკითხის შესასწავლად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა „ნიუპოსტს“ მიმართა ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით, რომელსაც შესაბამისი პასუხი ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია.

20 ნოემბრის სხდომაზე ბატონი მიხეილ (გელა) სალუაშვილის („ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის)“ განცხადებასთან დაკავშირებით (პრეტენზია მარნეულის №13.22.67 საარჩევნო უბნის შემაჯამებელ ოქმში მისი პარტიის კუთვნილი ხმების არასწორად ასახვის თაობაზე) ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) განაცხადა, რომ ცესკო-ს მიერ გადამოწმდა მარნეულის №13.22.67 საარჩევნო უბნის შემაჯამენელი ოქმები, მათ შორის, ხსენებული საარჩევნო უბნის განკარგულება, რომლითაც გარკეული ცვლილება შევიდა შემაჯამებელ ოქმებში. №43 საარჩევნო სუბიექტის („ზვიადის გზა (ღმერთის, სიმართლისა და ქვეყნისათვის))“ ხმა იყო 3 (სამი) და, შესაბამისად, ამ სუბიექტის მონაცემი უცვლელად იყო გადატანილი ოქმებში. აქედან გამომდინარე, ბატონი მიხეილ (გელა) სალუაშვილის განცახდება ზემოაღნიშნულ საკითხზე არ შეესაბამება სიმართლეს.

დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და კომისიის სხდომაზე მოწვეული უწყებების წარმომადგენლებს მიულოცა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება. როგორც მან აღნიშნა, საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღიდან თავისუფალი და სამართლიანი არჩენებისთვის უწყებათაშორისი კომისია წყვეტს საქმანობას. გამომდინარე აქედან, კომისია დაელოდება ცესკო-ს გადაწყვეტილებას.

სხდომის დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე უწყებების წარმომადგენლებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში მონაწილეობისთვის.

სხდომა დასრულდა 14:17 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: გ. ლომაია